



2024

შპს „რეიმანი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	20
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	21
6. აქტივის გამოყენების უფლება	24
7. ძირითადი საშუალებები	24
8. არამატერიალური აქტივები	25
9. მარაგები	25
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
11. ფული და ფულის ექვივალენტები	26
12. საიჯარო ვალდებულება	26
13. მიღებული სესხი	26
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
15. საწესდებო კაპიტალი	27
16. შემოსავალი	27
17. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	28
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
19. წმინდა ფინანსური ხარჯი	28
20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	28
21. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	29
22. მოგების გადასახადი	29
23. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	30
24. ფინანსური რისკის მართვა	30
25. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
26. წინა პერიოდის შესადარისი რიცხვების კორექტირება	33
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მუხრანის პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეიმანი-ს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რეიმანი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი გარემოებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წელს, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, რომელიც კომპანიისთვის წარმოადგენს საწყის ნაშთა (1 იანვარი 2024). ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება საწყისი ნაშთის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 166,877 ათასი ლარით.

აუდიტის სამუშაო პროცესში მესამე მხარისგან, რომელიც წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს, ვერ მოვიპოვეთ სესხის დასტურის წერილი, აღნიშნული სესხის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,475,962 ლარს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება), რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა 2024 წელს შეადგინა 1,736,817 ლარი (2023: 1,619,832 ლარი). ამასთან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალი შეადგენს 8,287,237 ლარს (2023: 6550,420 ლარი) და მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატება 3-ჯერ 2024-ში და 2-ჯერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის მიერ გამოუმუშავებული შემოსავალი არაა საკმარისი საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად, რის გამოც კომპანიის სასესხო ვალდებულება წლიდან წლამდე იზრდება. 2023 წლიდან 2024 წლამდე სესხის საბალანსო მოცულობა 18%-ით გაიზარდა და შეადგენს 6,593,894 ლარს.

ზემო აღწერილი მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბაღებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტს გააჩნია გეგმები აღნიშნული გარემოებების მოსაგვარებლად და ფუნქციონირებადობის აღსადგენად, ამ ეტაპზე არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რომელიც შესაძლოა არსებით გავლენას ახდენდეს კომპანიის შესაძლებლობაზე გააგრძელოს ფუნქციონირება შესაბამისი დროის განმავლობაში.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

შესადარისი ინფორმაციის კორექტირება

როგორც ნახსენებია ქვევით, *სხვა გარემოებათა* პარაგრაფში, კომპანიის შესადარისი პერიოდი არ არის აუდირებული. კომპანიის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ მოვიპოვეთ საწყის ნაშთებზე რწმუნება და აგრეთვე ჩავატარეთ მე-26 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომლებიც ეხება 2023 და 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. აღნიშნული შესწორებები, გარდა იმ მუხლებისა რაც ზემოთ არის ნახსენები, ჩვენი მოსაზრებით სწორია და ამის გამო არ მოხდა სხვა დანარჩენ მუხლებზე მოსაზრების მოდიფიკაცია. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

კომპანიის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ მოვიპოვეთ საწყის ნაშთებზე რწმუნება და ჩავატარეთ მე-26 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომლებიც ეხება 2023 და 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

სხვა გარემოება

კომპანიის 2023 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია როგორც 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაცია, არ ყოფილა აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას 2023 წლის ფინანსურ ინფორმაციაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დამტკიცების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

27 ოქტომბერი 2025



შპს „რეიმანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*	31 დეკემბერი 2022*
აქტივები				
აქტივის გამოყენების უფლება	6	3,484,916	3,494,889	4,054,521
ძირითადი საშუალებები	7	1,236,677	1,245,879	1,549,153
არამატერიალური აქტივები	8	252,217	62,437	61,792
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,973,810	4,803,205	5,665,466
მარაგები	9	204,072	166,877	113,613
გაცემული ავანსები		49,380	39,257	28,101
გაცემული სესხები		124,794	126,649	124,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	727,710	490,962	191,511
ფული და ფულის ექვივალენტები	11	222,298	648,460	359,726
სულ მიმდინარე აქტივები		1,328,254	1,472,205	817,745
სულ აქტივები		6,302,064	6,275,410	6,483,211
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	974,334	989,834	889,080
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(8,287,237)	(6,550,420)	(4,930,588)
სულ კაპიტალი		(7,312,903)	(5,560,586)	(4,041,508)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	3,771,971	3,653,759	4,009,589
გრძელვადიანი სესხები	13	5,730,106	5,371,070	4,267,695
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,502,077	9,024,829	8,277,284
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები		2,227	22,022	69,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,445,210	904,019	1,296,855
საგადასახადო ვალდებულება		1,235,655	1,109,025	352,379
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	12	713,957	527,380	475,974
მოკლევადიანი სესხები	13	715,841	248,721	52,862
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,112,890	2,811,167	2,247,435
სულ ვალდებულებები		13,614,967	11,835,996	10,524,719
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,302,064	6,275,410	6,483,211

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ოქტომბერი:

თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*	31 დეკემბერი 2022*
აქტივები				
აქტივის გამოყენების უფლება	6	3,484,916	3,494,889	4,054,521
ძირითადი საშუალებები	7	1,236,677	1,245,879	1,549,153
არამატერიალური აქტივები	8	252,217	62,437	61,792
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,973,810	4,803,205	5,665,466
მარაგები	9	204,072	166,877	113,613
გაცემული ავანსები		49,380	39,257	28,101
გაცემული სესხები		124,794	126,649	124,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	727,710	490,962	191,511
ფული და ფულის ექვივალენტები	11	222,298	648,460	359,726
სულ მიმდინარე აქტივები		1,328,254	1,472,205	817,745
სულ აქტივები		6,302,064	6,275,410	6,483,211
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	974,334	989,834	889,080
დაგროვილი ზარალი	15	(8,435,184)	(6,537,777)	(4,930,588)
სულ კაპიტალი		(7,460,850)	(5,547,943)	(4,041,508)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	3,771,971	3,653,759	4,009,589
გრძელვადიანი სესხები	13	5,602,870	5,104,067	4,267,695
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,374,841	8,757,826	8,277,284
სალიზინგო ვალდებულებები		2,227	22,022	69,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,445,210	904,019	1,296,855
საგადასახადო ვალდებულება		1,235,655	1,109,024	352,379
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	12	713,957	527,380	475,974
მოკლევადიანი სესხები	13	991,024	503,082	52,862
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,388,073	3,065,527	2,247,435
სულ ვალდებულებები		13,762,914	11,823,353	10,524,719
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,302,064	6,275,410	6,483,211

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ
ანხნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 17
ოქტომბერი:

თორნიკე ზუბუა

აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	16	11,510,975	7,773,313
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(8,176,295)	(5,535,374)
საერთო მოგება		3,334,680	2,237,939
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,679,514)	(2,644,126)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)		(57,159)	(91,224)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	19	(1,130,085)	(974,300)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	20	113,089	(6,857)
კურსთაშორის სხვაობიდან მოიღებული მოგება/ზარალი	21	(317,828)	(141,264)
მოგება დაზღვევამდე		(1,736,817)	(1,619,832)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1,736,817)	(1,619,832)

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ოქტომბერი:

თორნიკე ხუბუა**აღმასრულებელი დირექტორი**


შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)


	შენიშვნა	2024	2023*
	ა		
შემოსავალი	16	11,510,975	7,773,313
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17	(8,176,295)	(5,535,374)
საერთო მოგება		3,334,680	2,237,939
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,679,513)	(2,644,126)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(57,159)	(91,224)
წმინდა ფინანსური ხარჯი	19	(1,130,085)	(974,300)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	20	113,089	(6,857)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	21	(478,419)	(128,621)
მოგება დაბეგვრამდე		(1,897,407)	(1,607,189)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1,897,407)	(1,607,189)

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 17 ოქტომბერი:


 თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი



შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	889,080	(6,010,270)	(5,121,191)
გადაანგარიშების ეფექტი		1,079,682	1,079,682
1 იანვარი 2023	889,080	(4,930,588)	(4,041,508)
წლის ზარალი	-	(1,619,832)	(1,619,832)
კაპიტალში შენატანი	100,754	-	100,754
31 დეკემბერი 2023	989,834	(6,550,420)	(5,560,586)
წლის ზარალი	-	(1,736,817)	(1,736,817)
კაპიტალში შენატანი	36,500	-	36,500
გაცემული დივიდენდი	(52,000)	-	(52,000)
31 დეკემბერი 2024	974,334	(8,287,237)	(7,312,903)

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ოქტომბერი:

თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი


შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“**კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022 *	889,080	(6,010,270)	(5,121,190)
გადაანგარიშების ეფექტი (შენიშვნა 26)	-	1,079,682	1,079,682
1 იანვარი 2023*	889,080	(4,930,588)	(4,041,508)
წლის ზარალი	-	(1,607,189)	(1,607,189)
კაპიტალში შენატანი	100,754	-	100,754
31 დეკემბერი 2023 *	989,834	(6,537,777)	(5,547,943)
წლის ზარალი	-	(1,897,407)	(1,897,407)
კაპიტალში შენატანი	36,500	-	36,500
გაცემული დივიდენდი	(52,000)	-	(52,000)
31 დეკემბერი 2024	974,334	(8,435,184)	(7,460,850)

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ
ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 17
ოქტომბერი:


თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი



შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 *
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		11,196,653	7,260,917
გადახდები მომწოდებლებსა და დასაქმებულებზე		(10,209,299)	(6,776,562)
გადახდილი პროცენტი	12,13	(407,980)	(458,618)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		579,374	25,737
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი			
ფულადი სახსრები		(494,254)	(152,027)
მიღებული პროცენტი		1,740	970
მიღებული გრანტი		-	28,757
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(492,514)	(122,300)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		36,500	100,754
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(52,000)	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	13	(235,448)	(3,075,658)
სესხის მიღება	13	300,000	3,837,292
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	12	(561,192)	(468,547)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(512,140)	393,841
ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) კურსთაშორისი სხვაობის შედეგად	21	(882)	(8,544)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა		(426,162)	288,734
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	11	648,460	359,726
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	11	222,298	648,460

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ოქტომბერი:

თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რეიმანი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა ა	2024	2023 *
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		11,196,653	7,260,917
გადახდები მომწოდებლებსა და დასაქმებულებზე		(10,209,299)	(6,776,562)
გადახდილი პროცენტი	12,13	(407,980)	(458,618)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		579,374	25,737
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად			
გადახდილი ფულადი სახსრები		(494,254)	(152,027)
მიღებული პროცენტი		1,740	970
მიღებული გრანტი		-	28,757
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(492,514)	(122,300)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		36,500	100,754
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(52,000)	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	13	(235,448)	(3,075,658)
სესხის მიღება	13	300,000	3,837,292
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	12	(561,192)	(468,547)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(512,140)	393,841
ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) კურსთაშორისი სხვაობის შედეგად			
	21	(882)	(8,544)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა		(426,162)	288,734
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	11	648,460	359,726
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	11	222,298	648,460

* აღნიშნული ინფორმაცია არ ედრება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემებს, ამ ცვლილებების შესახებ ახსნა-განმარტება მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 17 ოქტომბერი:

თორნიკე ხუბუა

აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „რეიმანი“ (ს/კ 405325768) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 25 მარტს. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ტირიფების ქუჩა, №3, ბინა 9.

რეიმანი სთავაზობს ამბოლატორიული მომსახურების სრულ სპექტრს. ის ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებებს: საოჯახო მედიცინა, პედიატრია, ავტომატიზებული ლაბორატორია და სხვა სახის მომსახურებები.

კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 221 თანამშრომელი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი დასაქმებული იყო 262 თანამშრომელი.

კომპანიის მიერ ფლობილი წილები სხვა საწარმოებში არის შემდეგი:

მესაკუთრე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დავით ხუბუა, 01005007574	31%	31%
თორნიკე ხუბუა, 01005013117	20%	20%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გაზელ ფაინენს ჯორჯია, 404540001	49%	49%
სულ	100%	100%

შპს გაზელ ფაინენს ჯორჯიას მესაკუთრეა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კოოპერატივი გაზელ ფაინენს ჰოლდინგ კოოპერატივ, 68450974 /ნიდერლანდები/, 31.03.2017	100%	100%
სულ	100%	100%

შპს რეიმანის ერთობლივი საწარმოს შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

დასახელება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	საიდენტიფიკაციო ნომერი	საქმიანობის სფერო
შპს „რეიგენი“	50%	50%	405420637	გენეტიკურ-მოლეკულური ლაბორატორია

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით და ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიამ მიმდინარე წელი დაასრულა ზარალით. ასევე, მისი მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებზე. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში ფულადი ნაკადის ცვლილების ეფექტი არის უარყოფითი. კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი სესხები, რომლებსაც იგი იხდის გრაფიკის მიხედვით და ხელმძღვანელობის შეფასებით, სესხების დროულ დაფარვას არ ემუქრება პრობლემები. კომპანიის

დამფუძნებლები გამოთქვამენ სრულ მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში კომპანიას დაუჭირონ ფინანსური მხარდაჭერა როგორც კაპიტალის შენატანებით, ასევე გაცემული სესხების სახითაც. სწორედ ამიტომ ხელმძღვანელობის შეფასებით კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის მიერ 2024 წლისთვის მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 1,897,407 ლარი (2023: 1,607,189 ლარი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 8,435,180 ლარს (2023: 6,537,777 ლარი). ამასთან, მიმდინარე ვალდებულებები არსებითად აღემატება მიმდინარე აქტივებს როგორც 2024 წლის ბოლოს (დაახლოებით 3-ჯერ), ისე 2023 წლის ბოლოს (დაახლოებით 2-ჯერ). კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ამ ეტაპზე არ არის საკმარისი საოპერაციო საქმიანობის სრული დაფინანსებისთვის, რაც განაპირობებს გარე დაფინანსების მუდმივ საჭიროებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სესხის ბალანსური ღირებულება შეადგენს 6,593,894 ლარს, რაც 17%-ით მეტია 2023 წელთან შედარებით.

აღნიშნული ფაქტორები — დაგროვილი ზარალი, კაპიტალის ნაკლებობა, უარყოფითი სამუშაო კაპიტალი და მზარდი საგარეო ვალდებულებები — ქმნის მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარზე.

მიუხედავად აღნიშნული რისკებისა, კომპანიის მენეჯმენტი აფასებს, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადობის პრინციპის შესაბამისად. ფუნქციონირებადობაზე დადებითი შეფასება ეფუძნება შემდეგ ვარაუდებსა და სამოქმედო გეგმებს:

- 2025 წლის დასაწყისიდან რეიმანი მუშაობს დადებით საოპერაციო მოგებაზე. ამ პერიოდის განმავლობაში EBITDA სცდება 750,000 ლარს, ხოლო ნორმალიზებული EBITDA (ერთჯერადი სარემონტო ხარჯების, software development-თან დაკავშირებული ერთჯერადი ხარჯების გარეშე) 1,000,000 ლარის ფარგლებშია. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ დაარსების დღიდან რეიმანის ძირითადი შემოსავლები (სრულ შემოსავალს გამოკლებული კოვიდთან დაკავშირებული შემოსავლები რაც იყო 2020-2023 წლის განმავლობაში) ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 53%-ით. ეს ტრენდი გრძელდება 2025-შიც და ვფიქრობთ, რომ ფილიალ(ებ)ის გახსნის პირობებში 2026-2027 წლებში ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება. ხოლო EBITDA მარჯა მასშტაბის ეკონომიის პირობებში დაეწევა ინდუსტრიის საშუალოს, რაც 20%-ის ფარგლებშია.
- ამ ეტაპზე კომპანიას არ ექმნება cash flow დეფიციტი და თავისუფლად ემსახურება მიმდინარე ვალდებულებებს. 2026 წლის განმავლობაში, ახალი ფილიალის პირობებში (რომლის საოპერაციო მარჯებიც არსებული ფილიალისგან საკმაოდ განსხვავდება) რეიმანი შეძლებს, რომ თავისუფლად მოემსახუროს ყველა არსებულ ვალდებულებას და ასევე შეძლებს ინვესტიციების განხორციელებას მნიშვნელოვან პროექტებში, რაც მოემსახურება ჩვენი პაციენტების ჯანმრთელობის პარამეტრების გაუმჯობესებას.

მენეჯმენტი თვლის, რომ ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელება საშუალებას მისცემს კომპანიას უზრუნველყოს მომავალი პერიოდის ლიკვიდურობა და შეინარჩუნოს უწყვეტი ფუნქციონირება მომდევნო 12 თვეში ანგარიშგების თარიღიდან.

ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანია რეტროსპექტულად ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ამას აკეთებს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ

პერიოდთაგან ყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის ჩათვლით წარმოდგენილია ისე, თითქოს შესწორება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა ამის აუცილებლობა. შესაბამისად, შესწორების ოდენობა, რომელიც ეხება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის ფინანსური ანგარიშის წარდგენის დროს, კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდების კორექტირება, რომელიც ახსნილია 26-ე შენიშვნაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.9306	2.6894
1 EUR/GEL	2.8068	2.9753

სამუშაო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7247	2.6279
1 EUR/GEL	2.9345	2.8416

3.2. შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.3. საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.4. ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლებში ასახვით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით. ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მეთოდი თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, გარიგების თვითღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მეთოდი, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლებში ასახვით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამ კატეგორიად:

- 1) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით;
- 2) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით
- 3) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულების სხვა სურლ შემოსავლებში ასახვით

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო

აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველ აღირიცხება მათი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება, როგორც მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, ასევე მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების და აქტივის დაშლასთან (დემონტაჟთან) დაკავშირებული მომავალი ხარჯების დღევანდელი ღირებულებისგან.

შესაბამისი ვალდებულება აღირიცხება რეზერვებში. მომდევნო პერიოდის ხარჯები აღირიცხება აქტივის მიმდინარე ღირებულებაში, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში თუკი მოსალოდნელია მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და მისი საიმედოდ განსაზღვრა. ჩანაცვლებული ნაწილის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა რემონტის და შეკეთების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. 2021 წლიდან კომპანია შენობებსა და მიწას აღირიცხავს შეფასების მოდელით. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიამ კვლავ მოახდინა აღნიშნული ჯგუფის გადაფასება და დაადგინა სამართლიანი ღირებულება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შესრულებული შეფასების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების მთლიანი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო ნამეტი სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების ნამეტის სახით.

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია მათ ისტორიული ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების მიმდინარე ღირებულებებს, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში; ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადები	
სამკურნალო აპარატურა და მოწყობილობა	15- 20
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	10-15

3.6. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

3.7. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ახალი მოდელის (ესტონური მოდელი) მიხედვით, რომელიც ეფუძნება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო - 15% დაიბეგრება დივიდენდს განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან ბენეფიტებთან ან საჩუქრებთან არ ხდება მათი ცალკე ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი მოგების გადასახადები წარდენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები სპეციფიურად იბეგრება. გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ. კომპანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყენებს პოლიტიკას რომლის მიხედვითაც ასეთი გადასახადები აღირიცხება წინასწარ გადახდილ გადასახადებად. ხოლო, სესხის დაფარვის და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის ანაზღაურების მომენტში წინასწარ გადახდები უქმდება. ამრიგად, ასეთი ოპერაციები არ ახდენს გავლენას მოგება ზარალზე.

აღნიშნული მოდელის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად ბასს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება, განურჩევლად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

3.8. წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3.9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

3.10. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ნებისმიერი ღივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 31).

3.11. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3.12. იჯარა

კომპანია - როგორც მეიჯარე

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. საადრიცხო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო

ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

კომპანია - როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს

საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდებით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალი უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3.13. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანიის შემოსავლები დაგენერირებულია სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. შემოსავალი აღირიცხება იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელზეც კომპანია მოელის უფლების მიღებას საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ მომხმარებლისთვის. შემოსავლის აღრიცხვის დასადაგენად კომპანია მიჰყვება 5-ეტაპიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება
3. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც/როგორც შესრულდება ვალდებულება(ები).

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სამედიცინო მომსახურების გაწევით. შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გათვალისწინებით კომპანიის მიერ დაშვებული ფასდაკლებებისა და სარგებლებთან დაკავშირებული კორექტირებებისა. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მომსახურება ფაქტობრივად გაწეულია და პაციენტს აქვს მიღებული სარგებელი ან მომსახურების შედეგი.

3.14. მიღებული გრანტები

კომპანია იღებს გრანტებს სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციისგან, რომლებიც განკუთვნილია როგორც კაპიტალური აქტივების შესაძენად, ისე საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად.

გრანტები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული დარწმუნება, რომ კომპანიის მიერ შესრულდება ყველა შესაბამისი პირობა და გრანტი ფაქტობრივად იქნება მიღებული.

3.15. ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

კომპანიას გააჩნია კონტროლი საწარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მათზე მოიპოვებს კონტროლს და აღირიცხება მანამ,

სანამ მათზე კონტროლს დაკარგავს. ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მაჩვენებელი. თუ რაიმე ასეთი მაჩვენებელი არსებობს, ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება. გამოყენების ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის მიღების ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით.

თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 10-ში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხი: ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოითქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მოსალოდნელ საგარანტიო ვალდებულებების წარმოქმნას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მიმდინარე პროექტების ზარალის მოსალოდნელი ოდენობის შესახებ შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ამ რედაქციაში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ხუთი საბუღალტრო სტანდარტის ცვლილებას.

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრუული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებებს აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნებში ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — პილარ II მოდელის წესები

ბასს 12-ის შესწორებები დროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარალებიან. ცვლილებების გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომისიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრუული შესაძლებელია, თუ არ არის აღნიშნული) სხვაგვარად გამოყენება	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომისიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

6. აქტივის გამოყენების უფლება

	კომერციული ფართი	ჯამი
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	5,029,237	5,029,237
31 დეკემბერი 2023	5,029,237	5,029,237
დამატება	580,175	580,175
31 დეკემბერი 2024	5,609,412	5,609,412
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2022	(974,716)	(974,716)
ცვეთის ხარჯი	(559,632)	(559,632)
31 დეკემბერი 2023	(1,534,348)	(1,534,348)
ცვეთის ხარჯი	(590,148)	(590,148)
31 დეკემბერი 2024	(2,124,496)	(2,124,496)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	4,054,521	4,054,521
31 დეკემბერი 2023	3,494,889	3,494,889
31 დეკემბერი 2023	3,484,916	3,484,916

7. ძირითადი საშუალებები

	სპეციალური მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობები და ავეჯი	სულ
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022	1,839,392	823,091	2,662,483
ზრდა	38,736	110,462	149,198
31 დეკემბერი, 2023	1,878,128	933,553	2,811,681
ზრდა	293,500	212,727	506,227
31 დეკემბერი, 2024	2,171,628	1,146,280	3,317,908
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2022	(730,559)	(382,771)	(1,113,330)
ხარჯი	(277,112)	(175,360)	(452,472)
31 დეკემბერი, 2023	(1,007,671)	(558,131)	(1,565,802)
ხარჯი	(313,762)	(201,667)	(515,429)
31 დეკემბერი, 2024	(1,321,433)	(759,798)	(2,081,231)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022	1,108,833	440,320	1,549,153
31 დეკემბერი, 2023	870,457	375,422	1,245,879
31 დეკემბერი, 2024	850,195	386,482	1,236,677

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული 150,090 ლარის ძირითადი საშუალებები (2023: 0)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ბალანსზე აღრიცხული ქონება არაა დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული.

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები	ლიცენზიები	სულ
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022	-	104,081	104,081
ზრდა	-	18,772	18,772
31 დეკემბერი, 2023	-	122,853	122,853
ზრდა	31,151	194,850	226,001
31 დეკემბერი, 2024	31,151	317,703	348,854
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2022	-	(42,289)	(42,289)
ხარჯი	-	(18,127)	(18,127)
31 დეკემბერი, 2023	-	(60,416)	(60,416)
ხარჯი	(4,694)	(31,527)	(36,221)
31 დეკემბერი, 2024	(4,694)	(91,943)	(96,637)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022	-	61,792	61,792
31 დეკემბერი, 2023	-	62,437	62,437
31 დეკემბერი, 2024	26,457	225,760	252,217

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სახარჯი მასალა	193,651	136,935
ლაბორატორიის მარაგები	-	15,512
საწვავი	1,853	9,863
სხვა	8,568	4,567
	204,072	166,877

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	876,092	582,186
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი	(148,382)	(91,224)
ჯამი	727,710	490,962

	2024	2023
1 იანვარი	(91,224)	-
ზრდა	(57,158)	(91,224)
31 დეკემბერი	(148,382)	(91,224)

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საღაროში	5,354	6,824
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	216,944	641,636
	222,298	648,460

12. საიჯარო ვალდებულება

	2024	2023
თავდაპირველი აღიარებისას	4,181,139	4,485,563
დამატება	580,175	-
საპროცენტო ხარჯი	272,540	292,900
გადახდები წლის განმავლობაში	(833,732)	(761,447)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	285,806	164,123
ნაშთი წლის ბოლოს	4,485,928	4,181,139

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	713,957	527,380
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	3,771,971	3,653,759
სულ საიჯარო ვალდებულება	4,485,928	4,181,139

13. მიღებული სესხი

	პროცენტი	ვალუტა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები				
სს თიბისი ბანკი-სგან სესხი	13%	GEL	397,758	597,430
საკრედიტო ხაზი (6787004-10494115)	15%	GEL	170,283	258,407
შპს რეიგენი-სგან სესხი	15%	GEL	686,103	679,980
სესხი გოჭა ცეკიტიშვილისაგან (ლარი)	15%	GEL	1,541,303	1,273,000
სესხი გოჭა ცეკიტიშვილისაგან (დოლარი)	15%	USD	1,471,673	1,277,465
სესხი გოჭა ცეკიტიშვილისაგან (ევრო)	15%	EUR	1,462,986	1,284,788
სულ გრძელვადიანი სესხები			5,730,106	5,371,070
მოკლევადიანი სესხები				
სს თიბისი ბანკი-სგან სესხი	13%	GEL	199,671	174,583
საკრედიტო ხაზი (6787004-10494115)	15%	GEL	88,124	41,593
ფ/კ თამარ ბარბაქაძე	15%	GEL	119,163	17,859
გაზელის ფონდისგან სესხი	9%	USD	8,883	14,686
სს თიბისი ბანკი მოკლევადიანი სესხები	16%	GEL	300,000	-
სულ მოკლევადიანი სესხები			715,841	248,721

კომპანიას საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში არ უფიქსირდება ფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები).

	2024	2023
საწყისი ნაშთი	5,611,529	4,337,278
ფულადი ნაკადები:	-	-
სესხის დამატება	300,000	3,837,292
გადახდები წლის განმავლობაში	(235,448)	(3,075,658)
საპროცენტო ვალდებულების დაფარვა	(135,440)	(165,718)
არაფულადი ნაკადები:	-	-
პროცენტის დარიცხვა	859,285	682,370
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	46,019	4,229
საბოლოო ნაშთი	6,445,945	5,619,793

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,220,902	841,726
გადასახდელი ხელფასები	185,856	23,322
გადავადებული შემოსავალი*	38,452	38,971
ჯამი	1,445,210	904,019

*კომპანიის გადავადებული შემოსავალი წამოადგენს შპს გაზელ ფაინას ჯორჯიასგან მიღებულ გრანტს, რომლის მიზანიც არის კომპანიის ზრდა და შიდა შესაძლებლობების გაუმჯობესება. კომპანია შემოსავალს აღიარებს და გადავადებულ შემოსავალს ამცირებს მაშინ როდესაც ხდება გრანტის მიზნობრივი გამოყენება.

15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს 989,834 და 974,334 ლარს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიას დივიდენდი არ გამოუცხადებია.

16. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ამბულატორიული მომსახურებიდან	11,217,504	7,437,269
შემოსავალი სპეც-კვლევებიდან	150,314	85,651
შემოსავალი კლინიკური კვლევებიდან	118,937	216,091
დაზღვევა	24,220	34,302
	11,510,975	7,773,313

17. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
პირდაპირი ხელფასი	5,343,981	3,439,243
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1,359,036	886,303
ცვეთა და ამორტიზაცია	936,104	852,084
კვლევების ხარჯები პროვაიდერ კლინიკებში	332,219	184,020
დაზღვევა	96,638	42,918
კომუნალურები	78,816	76,471
საწვავის ხარჯი	15,688	4,198
სხვა	7,909	41,797
მცირეფასიანი აღჭურვილობის ხარჯი	5,904	8,340
	8,176,295	5,535,374

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	2,730,201	1,965,423
საიჯარო ქირა	208,514	214,608
ცვეთა და ამორტიზაცია	205,694	178,147
სამედიცინო კონტროლის მომსახურების ხარჯი	200,618	173,756
სარგებელი და სოციალური ხარჯები	138,436	44,313
საოფისე ხარჯები	126,247	20,604
სხვა ხარჯები	8,300	1,033
კომუნიკაციის ხარჯი	39,106	34,860
დაზღვევა	22,398	11,382
	3,679,513	2,644,126

19. წმინდა ფინანსური ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი	2024	2023
მიღებული პროცენტი	1,740	970
საპროცენტო შემოსავალი სულ	1,740	970
სესხის პროცენტის ხარჯი	859,285	682,370
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	272,540	292,900
საპროცენტი ხარჯი სულ	1,131,825	975,270
სხვა საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	(1,130,085)	(974,300)

20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	60,840	48,477
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	101,563	-
არასაოპერაციო შემოსავალი სულ	162,403	48,477
ბანკის მომსახურების ხარჯი	47,451	13,916

ვადაგადაცილებული ლაბორატორიის მარაგების ჩამოწერა	-	12,528
სხვა ხარჯი	1,863	14,974
ჯარიმები	-	13,916
არასაოპერაციო ხარჯი სულ	49,314	55,334
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	113,089	(6,857)

21. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი

საკურსო მოგება	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტები	4,742	17,133
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,312	26,602
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	477	3,801
მოკლევადიანი სესხები	3,365	9,458
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	653
გრძელვადიანი სესხები	-	23,686
სულ	10,896	81,333
საკურსო ზარალი		
ფული და ფულის ექვივალენტები	3,860	25,677
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	455	73
საიჯარო ვალდებულების გადაფასება	285,806	164,124
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	459	1,982
მოკლევადიანი სესხები	21,892	30,389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46	352
გრძელვადიანი სესხები	16,206	-
სულ	328,724	222,597
საკურსო მოგება/ზარალი	(317,828)	(141,264)

22. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს ნულ ლარის შესაბამისად. 2024 და 2023 წლებში გაცემული დივიდენდი განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, რომლის მოგების გადასახადი დარიცხული და დაბეგრულია ამავე პერიოდში.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

23. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია შემდეგი სასამართლო დავები:

მოპასუხე	დავის საგანი	პერიოდი	წარმატების ალბათობა იურისტის მოსაზრებით
შპს "რეიმანი"	დავის საგანს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებების ბათილობა. მოსარჩელე ითხოვს 500,000 ლარის ზიანის ანაზღაურებას მოპასუხეების მხრიდან	მიმდინარე	პროგნოზირება არ არის შესაძლებელი
შპს "რეიმანი"	საფუძველს წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულებები : LGA - 105510, LGA - 97398, LA-108913 და LA- 104265. 2025 წლის 28 მარტს თიბისი ლიზინგმა შეიტანა სარჩელი შპს "რეიმანის", შპს "რეიგანის", შპს "R-MEDICA", დავით ხუბუას, რამაზ მარღაშვილისა და თორნიკე ხუბუას წინააღმდეგ და ითხოვს 360,452.78 ლარის დაკისრებას.	მიმდინარე	პროგნოზირება არ არის შესაძლებელი

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს; ასევე
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს), და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	მენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები		124,794	126,649
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	727,710	490,962
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	216,944	641,636
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		1,069,448	1,259,247

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ

განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	124,794		124,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	876,092	-	876,092
ფული და ფულის ეკვივალენტები	222,298	-	222,298
სულ ფინანსური აქტივები	1,223,184	-	1,223,184
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(715,841)	(5,730,106)	(6,445,947)
საიჯარო ვალდებულება	(713,957)	(3,771,971)	(4,485,928)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(1,406,758)	-	(1,406,758)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,836,556)	(9,502,077)	(12,338,633)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,613,372)	(9,502,077)	(11,115,449)

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	126,649		126,649
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	582,186	-	582,186
ფული და ფულის ეკვივალენტები	648,460	-	648,460
სულ ფინანსური აქტივები	1,357,295	-	1,357,295
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(248,721)	(5,371,070)	(5,619,791)
საიჯარო ვალდებულება	(527,380)	(3,653,759)	(4,181,139)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(865,048)	-	(865,048)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,641,149)	(9,024,829)	(10,665,978)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(283,854)	(9,024,829)	(9,308,683)

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

25. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
 (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
 (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
 (3) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
 (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ნაშთები:

	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შვილობილი კომპანია	120,561	115,518
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შვილობილი კომპანია	51,279	51,279
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ინვესტიცია მეკავშირეში	124,794	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ხელფასები და ბონუსები	280,330	109,062
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება სულ	280,330	109,062

26. წინა პერიოდის შესადარისი რიცხვების კორექტირება

უკეთესად წარდგენის მიზნით, კომპანიამ განახორციელა გარკვეული შეცდომების გასწორება შესადარის ნაშთებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია შეცდომების გასწორების საერთო ეფექტი წინა პერიოდის ნაშთებზე. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ძირითადად შემდეგი გარემოების გამო: კომპანია 2024 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გადაწყვიტა 2023 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა მოახდინეს მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
აქტივის გამოყენების უფლება	4,235,919	741,030	3,494,889
არამატერიალური აქტივები	64,781	2,344	62,437
მარაგები	131,430	(35,447)	166,877
გაცემული ავანსები	-	(39,257)	39,257
გაცემული სესხები	-	(126,649)	126,649
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	796,790	305,828	490,962
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	8,763,475	2,225,698	6,537,777
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	(6,065,565)	(2,411,806)	(3,653,759)
გრძელვადიანი სესხები	(4,789,380)	314,687	(5,104,067)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,476,239)	(1,572,220)	(904,019)
საგადასახადო ვალდებულება	-	1,109,024	(1,109,024)
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	(738,731)	(211,351)	(527,380)
მოკლევადიანი სესხები	(804,963)	(301,881)	(503,082)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
აქტივის გამოყენების უფლება	4,940,948	886,427	4,054,521
არამატერიალური აქტივები	64,137	2,345	61,792
მარაგები	114,114	501	113,613
გაცემული ავანსები	-	(28,101)	28,101
გაცემული სესხები	-	(124,794)	124,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	367,949	176,438	191,511
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6,010,270	1,079,682	4,930,588
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	(5,421,760)	(1,412,171)	(4,009,589)
გრძელვადიანი სესხები	(3,967,695)	300,000	(4,267,695)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,044,314)	(747,459)	(1,296,855)
საგადასახადო ვალდებულება	-	352,379	(352,379)
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	(643,805)	(167,831)	(475,974)
მოკლევადიანი სესხები	(370,278)	(317,416)	(52,862)

მოგება-ზარალის ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	7,822,803	49,490	7,773,313
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,063,239)	472,135	(5,535,374)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,397,860)	(753,734)	(2,644,126)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)	-	91,224	(91,224)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(2,121,204)	(1,146,904)	(974,300)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	6,295	13,152	(6,857)
კურსთაშორის სხვაობიდან მოიღებული მოგება/ზარალი	-	128,621	(128,621)

ფულადი სახსრების ანგარიშგება 31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	(265,570)	177,240	(442,810)
საინვესტიციო საქმიანობიდან	(93,943)	28,357	(122,300)
საფინანსოდან	649,979	(212,409)	862,388

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ საანგარიშგებო საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაიწყო ერთობლივი საწარმოდან (შპს რეიგენი 405420637) წილიდან გამოსვლის პროცესი, როელშიც ფლობს 50%-ს.

ასევე, კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში შემდეგ დაიწყო რეორგანიზაცია კერძოდ, გაზელ ფაინას ჯორჯოა რომელიც ფლობს 48%-იან წილს გადის კომპანიის წილობრივი მონაწილეობიდან, რეორგანიზაციის პროცესი სავარაუდოდ დასრულდება 2025 წლის ნოემბერში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

